რწმენა და იდეოლოგია

ზურაბ ჯაში

ცხოვრების უმეტეს ნაწილს ჩვენ ვატარებთ ისე, რომ იშვიათად ვაცნობიერებთ საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების რეალურ საფუძველს. ყველაზე მარტივი მაგალითია, როდესაც ერთ ადამიანს მოსწონს ერთი სახის კერძი, მეორეს - მეორე. მაგრამ რა განსაზღვრავს განსხვავებულ გემოვნებებს? იქნებ ის, რომ როგორც მარსელ პრუსტში ნამცხვარ „მადლენის“ სურნელი მისთვის ძვირფას მოგონებებს აღძრავდა, ასევე ჩვენთავისაც ჩვენთვის საყვარელი კერძის სურნელს ან გემოს წარმოსახვითად გადავყავართ იმ დროში, რომელიც დასაკარგავად არ გვემეტება. ასეთ შემთხვევაში სრულიად გამართლებულია გამონათქვამი: გემოვნებაზე არ დავობენ. მაგრამ ხშირ შემთხვევაში გემოვნება ყალიბდება იმ გარემოს გავლენებით, რომელშიც გავიზარდეთ და ცხოვრების დიდი ნაწილი გავატარეთ. ამ დროს ვითვისებთ ამ საზოგადოების შეხედულებებს სამყაროზე და მორალურ ღირებულებებს, სხვა სიტყვებით, ამ საზოგადოების გემოვნებებს. ამიტომ, როდესაც შევდივართ სხვა საზოგადოების კულტურულ სივრცეში, ბევრი რამ „ჩვენი გემოვნებისთვის“ მიუღებელი აღმოჩნდება. აი, აქ კი შეიძლება გემოვნება იქცეს ცხარე დავის საგნად და ძალადობრივ დაპირისპირებამდეც კი მიგვიყვანოს, მაგრამ ისე, რომ არასოდეს ვუწოდებთ მას დავას გემოვნების შესახებ, არამედ დავას ჭეშმარიტების შესახებ. რა თქმა უნდა, შემდეგ ჩვენს შეხედულებებს ათასგვარი რაციონალური არგუმენტებით გავამართლებთ, რითაც კიდევ უფრო მეტად დავფარავთ და ჩვენივე ცნობიერებისთვის მიუწვდომელს გავხდით ამ შეხედულებების წარმომავლობას.

ამგვარად საზოგადოების გავლენით გაუცნობიერებლად ჩამოყალიბებულ გემოვნებას შეიძლება ვუწოდოთ იდეოლოგია, რომელიც არასოდეს გვიმხელს თავის ისტორიული შემთხვევითობებით განპირობებულ ბუნებას, არამედ საბოლოო ჭეშმარიტებაზე გვიცხადებს პრეტენზიას. ასე, მაგალითად, საკითხავია იარსებებდა თუ არა დღეს ქართულ საზოგადოებაში არსებული შეურიგებელი დაპირისპირება ლიბერალურ და ეგრეთ წოდებულ კონსერვატიულ ძალებს შორის, რომ არა ოცდაათი წლის წინათ თბილისის ქუჩებში გაჩაღებული სამოქალაქო ომი. დღევანდელ იდეურ დაპირისპირების ხასიათს სინამდვილეში უფრო ნაკლები კავშირი აქვს თვითონ ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის შინაარსებთან ვიდრე იმ ფუნდამენტური ხასიათის უნდობლობასთან, რაც ომმა გააჩინა ჩვენს საზოგადოებაში. ფაქტიურად, სამოქალაქო ომი დღემდე გრძელდება ამ იდეური დაპირისპირების სახით, რაშიც განსხვავებული რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები მხოლოდ ნიღბების ფუნქციას ატარებს. გამოსავალი ამ ვითარების გაანალიზებაში და წარსულის ტრავმებისთვის თვალის გასწორებაში მდგომარეობს.

განსაკუთრებით საშური არის ამ გაცნობიერებითი სამუშაოს ჩატარება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელიც დღეს სამწუხაროდ ამ დაპირისპირებაში ერთ-ერთ მხარედ წარმოგვიდგება კონსერვატიული ღირებულებების დაცვის სახელით. პრობლემა იმდენად იმაში არ უნდა ვეძიოთ, რომ ეკლესია კონსერვატიზმის მხარეს არის, არამედ იმაში თუ როგორ გამოხატავს თავის პოზიციას: ეკლესია არცერთ შემთხვევაში არ უნდა ამართლებდეს ძალადობას! იდეოლოგია კი, რამდენადაც მას კონკრეტული საზოგადოების თვითგადარჩენის ინსტინქტი წარმოშობს, ყოველთვის შეზღუდულ ინტერესებს ემსახურება და ამიტომ ვერასდროს იქნება ადამიანის ჭეშმარიტებისკენ მეგზური. ამიტომ, ეკლესია უნდა გათავისუფლდეს იდეოლოგიური ბორკილებისგან და დაუბრუნდეს ქრისტეს რწმენას, რომელიც თავისი არსით სწორედ იდეოლოგიის საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს.

ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ყველასათვის თითქოს კარგად გასაგებ განსაზღვრებებში სიცხადის შეტანა. რა არის რწმენა მისი ქრისტიანული მნიშვნელობით? პავლე მოციქული რწმენის ნიმუშად გვისახავს აბრაამს (რომ. 4). მოდით ვნახოთ, თუ რაში გამოვლინდა აბრაამის რწმენა ღმერთისადმი. მისი ურთიერთობა ღმერთთან იწყება მის მიერ თავისი სამშობლოს დატოვებით და ოჯახთან ერთად გაურკვეველი დანიშნულების ადგილისკენ მოგზაურობის დაწყება. გზა, რომელიც გადის სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე ხალხების მიწებზე, აბრაამს მუდმივად აყენებს საფრთხის წინაშე. როგორც უცხოტომელი ის და მისის ოჯახი დაუცველია ამ ხალხების ხელისუფალთა თუ უბრალოდ ყაჩაღთა ძალადობისგან. მაგრამ აბრაამი მიყვება ღმერთის ხმას და ენდობა იმდენად, რომ მზად არის საკუთარი შვილის ისააკის სიცოცხლესაც კი შეწიროს მას. აქ მისი მთავარი რწმენა იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი არ შეიწირავს მისი და მისი საყვარელი ადამიანის სიცოცხლეს, არამედ თვითონ „გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს“ (დაბ. 22:8). აბრაამის ურთიერთობაში ღმერთთან იკვეთება ბიბლიური რწმენის თავისებურება, რაც მას განასხვავებს რწმენის ჩვეული გაგებისგან.

რწმენა, ამ სიტყვის ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით, გულისხმობს წინარემეცნიერულ, ანუ ლოგიკასა და ემპირიულ გამოცდილებაზე დაყრდნობის გარეშე, გარკვეულ შეხედულებებსა და წარმოდგენებს. როდესაც ადამიანს ვეკითხებით მისი ამგვარი წარმოდგენების დასაბუთებას, ის ან ამაზე უარს აცხადებს, ან მისი დასაბუთება არც ისე დამაჯერებელი ჩანს, ხშირად ერთ დაუსაბუთებელ წარმოდგენას მეორე მსგავსადვე წარმოდგენით ხსნის. ამგვარი რწმენა-წარმოდგენების საბოლოო წყაროდ ისევ მისი საზოგადოებისგან ათვისებული იდეოლოგია წარმოჩნდება. ამ უკანასკნელის დანიშნულება კი სულაც არ არის ჭეშმარიტების ახსნა მისი უნივერსალური ფორმით, ანუ ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგები სახით, არამედ მხოლოდ კონკრეტული საზოგადოების წევრთა ერთიანობის უზრუნველსაყოფად. იდეოლოგია თითქოს მიმართავს საზოგადოების თითოეულ წევრს: „შენ ხარ ამ საზოგადოებრივი ერთობის ნაწილი იმდენად, რამდენადაც ის გწამს, რაც ამ ერთობას სწამს, და ამ რწმენის ჭეშმარიტებას არ აყენებ კითხვის ნიშნის ქვეშ“. ამიტომ თუ ადამიანისთვის ძვირფასია ამ ერთობასთან ზიარება, ის ერიდება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს იდეოლოგიის მიმართება ჭეშმარიტებასთან. მისთვის არც არსებობს ჭეშმარიტება როგორც ასეთი ამ

იდეოლოგიის ფარგლების მიღმა. მისი კოლექტიური იდენტობა სრულად განსაზღვრავს ჭეშმარიტებას, ანუ მამარდაშვილის სიტყვები რომ შევატრიალოთ, მისთვის სამშობლო ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას.

აბრაამის შემთხვევაში კი სწორედ ამის საპირისპიროს ვხედავთ - ჭეშმარიტების ძახილის ადევნებული ის ტოვებს თავის სამშობლოს და მიემართება უცხოს და შეუცნობლის მიმართულებით. აბრაამისთვის ჭეშმარიტება მართლაც სამშობლოზე მაღლა დგას. მასთან ჭეშმარიტების ძიება ამავე დროს ატარებს ეთიკურ განზომილება (რაც ზოგადად ახასიათებს წინარემოდერნულ აზროვნებას). შეუცნობელი და ამდენად უცხო ღმერთის ძიებას ის მიყავს უცხო ადამიანების მიღებამდე. სწორედ ამ მოვლენას გულისხმობს ებრაელთა მიმართ ეპისტოლე, როდესაც ამბობს: „სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთს ისე გაუწევია მასპინძლობა ანგელოზებისთვის, რომ თვითონ არც კი სცოდნია“ (ებრ. 13:2). ბერძნულ დედანში სიტყვა „სტუმართმოყვარეობა“ ნათლად გამოკვეთს უცხოს მიღების აქტს. ტერმინი φιλοξενία სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „უცხოთმოყვარეობას“. ეს გამოხატავს ჭეშმარიტების ბიბლიური გაგების განმსაზღვრელ პრინციპს. ამ პრინციპის შუქზე კი რწმენა წარმოჩნდება არა როგორც რაიმე სახის დაუსაბუთებელი შეხედულების ბრმად მიღება, არამედ, პირიქით, ჩვენს მიერ გაშინაგანებული, კარგად ნაცნობი - „ჩემიანად“ „ჩვენიანად“ ქცეული - საზოგადოების მიერ ნაკარნახები იდეოლოგიური ნორმებისა და წარმოდგენებისადმი კრიტიკული პოზიციის დაკავებად. როგორც ვხედავთ, სიტყვა რწმენა შეიძლება ატარებდეს ორ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს - ერთი იდეოლოგიური ხასიათის და მეორე ანტი-იდეოლოგიური ხასიათის. სწორედ ეს უკანასკნელი არის სწორედ ბიბლიური ხასიათის რწმენა. ბუნებრივად ჩნდება საჭიროება, რომ შევუმუშავოთ ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის ერთმანეთისგან გამიჯვნისა და მათ შორის ურთიერთმიმართების დადგენის კრიტერიუმი.

აბრაამისა და სხვა მართალთა ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით ბიბლია გვაძლევს რწმენის შემდეგი სახის განსაზღვრებას: „ხოლო რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით, და წვდომა უხილავისა“ (ებრ. 11:1). აქ იბადება კითხვა: როგორ გავარჩიოთ ბიბლიური რწმენა იდეოლოგიურისგან, თუკი ორივე დაუსაბუთებელი და ემპირიულად „უხილავია“? ერთი შეხედვით ჩანს, რომ ძალიან ადვილია მათი ერთმანეთში აღრევა, რაც ისტორიულად დადასტურებული ფაქტია - ეკლესიის მთელი ისტორია და აწმყო ვითარებაც ხომ უხვად მოწმობს ქრისტიანული რწმენის სხვადასხვა სახის იდეოლოგიების სამსახურში ჩაყენების ფაქტებზე. შესაბამისად, იდეოლოგიის მონობისგან პიროვნების გათავისუფლების ერთადერთ გზად ჩანს ლოგიკური დასაბუთება და მეცნიერული ცდებით დამტკიცება. სწორედ ეს გზა აირჩია დასავლურმა ცივილიზაციამ მეთვრამეტე საუკუნიდან, როდესაც მან ქრისტეს რწმენის სახელით ადამიანის წინააღმდეგ ნაწარმოებ ძალადობას - ინკვიზიცია, რელიგიური ომები და ა.შ. - დაუპირისპირა რაციონალური აზროვნება.

ამ მხრივ, საინტერესოა კანტის მსჯელობა. თავის ნაშრომში „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“ ის იღებს მაცხოვრის სიტყვებს სახარებიდან: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ“ (მათე 11:30) და განმარტავს შემდეგი სახით: „ყოველ ადამიანზე

დაკისრებული მოვალეობა მოიაზრება როგორც მის მიერ და მისი გონების მიერ დაწესებული, რამდენადაც ის მას თავისუფლად იღებს საკუთარ თავზე. ამ სახის არის მხოლოდ მორალური კანონები და სწორედ მათ შესახებ ამბობს წმინდა ეკლესიის დამფუძნებელი: ჩემი მცნებები არ არის დამამწუხრებელი, რადგან ისინი არ ამძიმებს ადამიანს, ყველა თავად ხედავს მათი შესრულების აუცილებლობას; შესაბამისად, არაფერი ხდება ძალდატანებით, მაშინ როცა წესები, თავს მოხვეული დესპოტურად, ბრძანებით (რომელთა საჭიროებას ვერ ვხედავთ, მაგრამ მოცემულია ჩვენს სასიკეთოდ, თუმცა არა ჩვენი გონების მიერ), უსიამოვნო და შემაწუხებელია, რომელთაც მხოლოდ იმიტომ ვემორჩილებით, რომ იძულებული ვართ".[1] საკუთარი გონებით გაუაზრებელი მორალური წესდებების მიხედვით აღსრულებული ღვთისმსახურება, კანტის აზრით, ამახინჯებს ღვთის მსახურების არსს და ის მას „გარდაქმნის ფეტიშიზმად",[2] ანუ კერპთაყვანისცემად. ფეტიშური მსახურების დაწესება სამღვდელოებას ანიჭებს ძალაუფლებას, რომელიც თავისი ბუნებით ყოველთვის „დესპოტურია", რამდენადაც მას „არ სჭირდება დარწმუნება და მხოლოდ ბრძანებებს იძლევა".[3] სწორედ ამ ფეტიშიზმისგან გათავისუფლება და მორალისა და რიტუალური რელიგიის ერთმანეთისგან გარჩევა არის კანტისთვის „განმანათლებლობა",[4] რასაც ის თავის პროგრამულ ესსეში „რა არის განმანათლებლობა" შემდეგი სახით განსაზღვრავს: „განმანათლებლობა არის ადამიანის გამოსვლა საკუთარი თავის მიერ დაწესებული უმწიფრობიდან. უმწიფრობა არის ადამიანის უუნარობა, გამოიყენოს საკუთარი გონება სხვისი წინამძღოლობის გარეშე".[5] სწორედ ასეთი წინამძღოლები არიან კანტისთვის და სხვა განმანათლებლებისთვის ქრისტიანი მღვდლები, რომლებიც ადამიანს ეუბნებიან: „არ იაზროვნო, ირწმუნე!"[6] ამიტომ, თუ ადამიანს სურს გონებრივი და მორალური სიმწიფის მიღწევა, ამ მიზნის მისაღწევად მისი ერთადერთი იარაღი არის რაციონალური აზროვნება, რომელიც უპირისპირდება რწმენას. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის ემსახურება სხვის ძალაუფლებაზე ადამიანის დამონებას. ცოდნისა და რწმენის ამგვარმა დაპირისპირებამ დაასრულა „რწმენის ეპოქა" და სათავე დაუდო „გონების ეპოქას". მაგრამ უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენაც მიაღწია განმანათლებლობამ თავის საწადელს და გაათავისუფლა ადამიანი გარეშე ავტორიტეტების ძალადობისგან.

უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან დაიწყო ამგვარი ცალმხრივად განვითარებული რაციონალიზმის კრიტიკა დასავლეთში, დაწყებული რომანტიზმით, რომელსაც მოჰყვა მეცხრამეტე საუკუნეში კირკეგორი, ნიცშე, და გაგრძელდა მეოცე საუკუნეში ექსისტენციალიზმით, ფსიქოანალიზით, კრიტიკული თეორიით და პოსტმოდერნიზმით. მთელი ეს დასავლური სააზროვნო ტრადიცია სხვადასხვა მიდგომებით ცდილობს დაასაბუთოს თავის თავში ჩაკეტილი რაციონალიზმის ძალადობრივი ბუნება, რის გამოც განმანათლებლობის თანამდროვე პროექტი

[1] *რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში 6:179.*
[2] *იქვე.*
[3] *იქვე,* 6:180.
[4] *იქვე,* 6:179.
[5] *რა არის განმანათლებლობა* 1.
[6] *იქვე,* 5.

წარმოჩნდება საკუთარი დასახული მიზნის წინააღმდეგ მოქმედ კულტურულ მოვლენად. ასე მაგალითად, კრიტიკული თეორიის ანუ ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები თეოდორ ადორნო და მაქს ჰორკჰაიმერი თავიანთ ერთობლივ ნაშრომში „განმანათლებლობის დიალექტიკა“ ამტკიცებენ შემდეგს: „განმანათლებლობა, მისი ყველაზე ფართო გაგებით როგორც აზროვნების წინსვლა, ყოველთვის მიზნად ისახავდა ადამიანის გათავისუფლებას შიშისგან და მის ბატონად დასმას. მაგრამ მთელი განათლებული დედამიწა ბრწყინავს უბედურების ტრიუმფით“.[7] ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამ კულტურაში ცოდნა გაგებულია როგორც „ძალაუფლება, რომელიც არ ცნობს საზღვარს, როდესაც ის იმონებს ბუნებას ან პატივს მიაგებს ამაქვეყნის ძლიერთ. ზუსტად ისევე, როგორც ის ემსახურება კაპიტალისტური ეკონომიკის მიზნებს ქარხნებში თუ ბრძოლის ველზე, მას იოლად იყენებს ნებისმიერი გზით გამდიდრებული მეწარმე. მეფეებზე არანაკლებ ვაჭრები აკონტროლებენ ტექნოლოგიას: ის ისეთივე დემოკრატიულია როგორც ეკონომიკური სისტემა, რომლის წიაღშიც ის განვითარდა. ტექნოლოგია არის ამ სახის ცოდნის არსი. ის მიზნად ისახავს არათუ კონცეფციების ან ხატ-სახეების, ან შემეცნების სიხარულის შექმნას, არამედ მეთოდის, სხვების შრომის მითვისების, კაპიტალის შექმნას“.[8] ამ ანალიზის შედეგად მათ გამოაქვთ მკაცრი განაჩენი: „განმანათლებლობა არის ტოტალიტარული“.[9]

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ადამიანის განმათავისუფლებელი ცოდნა იქცა მისი ახალი გზით დამონების საშუალებად? ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სააზროვნო მიმდინარეობა განსხვავებულ პასუხს გვთავაზობს. ქრისტიანულ რწმენას ასევე აქვს თავისი პასუხი: ნებისმიერი ძალადობრივი სისტემისა და იდეოლოგიის მიღმა გასვლა შესაძლებელია მხოლოდ მის გარეთ უკვე არსებული სასიცოცხლო ძალაზე დაყრდნობით. ტრანსცენდირება შესაძლებელია მხოლოდ ტრანსცენდენტის ანუ ღმერთის დახმარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი იჯერებს მინჰაუზენის ზღაპარს, რომ თითქოს შესაძლებელია ჭაობიდან საკუთარი თავის ამოთრევა საკუთარი ხელით თმებზე მოჭიდებით. ძალადობრივი იდეოლოგია ადამიანს არ მხოლოდ იმას ჩააგონებს თუ რამდენად ძვირფასია იდეოლოგიის მიერ მოწოდებული ღირებულებები, არამედ იმასაც, თუ რას წარმოადგენს მათი უარყოფა. ამიტომ, ადამიანი აღმოჩნდება ორ ცეცხლს შუა, იდეოლოგიის მიღებაც და მისი უარყოფაც, ორივე ვარიანტი იდეოლოგიის მიერ შექმნილი თამაშის წესებით არის ნაკარნახევი. საჭიროა, გაცილებით რადიკალური გზის პოვნა. ეს გზა ქრისტიანისთვის არის იდეოლოგიური რწმენის არა უბრალოდ უარყოფა არამედ ტრანსფორმაცია.

ქრისტიანული ეკლესიის ეს პასუხი მისი დაარსებიდან მალევე გაცხადდა, როდესაც ის დაუპირისპირდა მის წიაღში პირველივე საუკუნის მიწურულს წარმოშობილ და განსაკუთრებით მეორე-მესამე საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულ ეგრეთ წოდებულ გნოსტიკურ ერესებს. როგორც თვითონ სახელწოდება გვიჩვენებს, ეს სწავლებები მთავარ

[7] Max Horkheimer, Theodor W. Adorno, *Dialectic of Enlightenment: Philosophical Fragments*, ed. G. Sch. Noerr, trans. E. Jephcott (Stanford: Stanford University Press 2002), 1.
[8] *იქვე,* 2.
[9] *იქვე,* 4.

აქცენტს აკეთებდნენ ცოდნაზე (ბერძ. *გნოსის*), რომლის მიღებაც ადამიანს ათავისუფლებდა ამქვეყნიური ხილული თუ უხილავი ძალაუფლების მქონე არსებების ბატონობისგან. რწმენა კი მიიჩნეოდა უფრო დაბალი საფეხურის შემეცნების უნარად, რომელსაც არ ძალუძდა ადამიანის სულის გამოხსნა. ერთი შეხედვით, გნოსტიკოსები მეტად კეთილშობილურ მიზნებს ისახავდნენ და მათ აღსრულების შესაძლებლობას სწორედ ცოდნას მიაწერდნენ, რითაც ისინი გარკვეულწილად ამჟღავნებდნენ მსგავსებას ჩვენი დროის განმანათლებლებთან (აღსანიშნავია, რომ ზოგი თანამედროვე მოაზროვნე, მაგრალითად, ერიკ ვოგელინი, მოდერნულობას გნოსტიციზმის აღორძინებად სახავს). მათთვის მიუღებელი იყო ძველი აღთქმის სასტიკი ღმერთი, იაჰვე. ამიტომ, ისინი ფიქრობდნენ, რომ ის ვერ იქნებოდა სიყვარულის მქადაგებელი ქრისტეს მამა. სინამდვილეში, მათთვის, ქრისტე და მისი მამა მიეკუთვნებოდნენ უზენაეს სულიერ სფეროს - *პლერომას*, ხოლო ძველი აღთქმის ღმერთი სულაც არ იყო ის ერთი ღმერთი, არამედ მის ქვემოთ არსებული ტირანი - *დემიურგი*, რომელიც თავის მიერ შექმნილი მატერიალური სამყაროს ტყვეობაში ამყოფებდა ადამიანებს.

ამ სწავლებების ეთიკურად პრობლემური მხარე განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც ისმება კითხვა, თუ ვინ ფლობს ამ გამომხსნელ ცოდნას არსებული რეალობის შესახებ და საერთოდ როგორ შეიძლება მისი მოპოვება. მათთვის, ამ ცოდნის მოპოვება შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი ყველასათვის ხელმისაწვდომი გზებით, არამედ ის ეცხადებოდა მხოლოდ ერთეულ რჩეულთ. ასეთები კი მათი ბუნებით იყვნენ თავიდანვე რჩეულნი და არ ხდებოდნენ რაიმე სახის პიროვნული ღვაწლის შედეგად. მათი სწავლებით, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს, „არსებობს ადამიანთა მოდგმის სამგვარი დაყოფა: ჰილიკურ ანუ მატერიალურ ნაწილსა და პნევმატურ ანუ სულიერ ნაწილს შორის არსებობს მშვინვიერი ნაწილიც. ეს ანთროპოლოგიური დაყოფა აირეკლავს სამ სოციალურ კლასად ადამიანების დაყოფას: სრულყოფილი გნოსტიკოსები, რომლებსაც წილად ხვდებათ გამოხსნა; ჰილიკები, ანუ მატერიალური არსებები, დასაღუპად განწირულნი, რომლებიც გაიგივებული არიან იუდეველებთან და წარმართებთან; და ბოლოს, მშვინვიერები, მრავალი გნოსტიკური დაჯგუფების მიერ თვითონ ქრისტიანებთან გაიგივებული კლასი“.[10] საბოლოო ჯამში, “მხოლოდ გნოსტიკოსები გადარჩებიან“.[11] ამიტომ, სარწმუნოდ ჟღერს სიტყვები, რომლებსაც ერთ-ერთი გვაინდელი წყარო გნოსტიციზმის ერთ-ერთი მიმდინარეობის დამფუძნებელს, ბასილიდეს მიაწერს: „ჩვენ (გნოსტიკოსები, ზ.ჯ.) ვართ ადამიანები, დანარჩენები არიან ღორები და ძაღლები.“[12] მათი რწმენით წარმოდგენილი ქრისტეც არ არის ცოდვილთა მიმართ სიყვარულის გამო ნებაყოფლობით ჯვარცმული მესია. მას მიაწერდნენ შემდეგ სიტყვებს: „მათ სასიკვდილოდ მიამსჭვალეს მათივე ადამიანი . . . რაც შემეხება მე, მათ დამინახეს მე, რომ დამსაჯეს. მაგრამ ეს იყო სხვა, მათი მამა, ვინც შესვა სიმწარე და ძმარი, ეს მე არ ვყოფილვარ. ისინი მცემდნენ მე შოლტით, მაგრამ სხვა იყო, ვინც ჯვარი იტვირთა მხრებით, ის იყო სვიმონი. სხვა იყო, ვისაც დაადგეს ეკლის

[10] Giovanni Filoramo, *A History of Gnosticism*, trans. by A. Alcock (Cambridge: Basil Blackwell, 1990), p. 57.
[11] *იქვე,* 98.
[12] ეპიფანე კვიპრელი, *პანარიონი,* 24.5.2(F. Williams, *The Panarion of Epiphanius of Salamis, Book I* (Leiden: Brill, 2009), p. 79).

გვირგვინი. მაგრამ მე ვმხიარულობდი მთავართა სიმდიდრეზე და მათ შთამომავალთა ცთომილებასა და მზაკვრობაზე ამაღლებული, დადავცინოდი მათ უმეცრებას“.[13] როგორც ვხედავთ, მათი მხსენლისთვის ისევე უცხო არის თავმდაბლობის სათნოება, როგორც თავად მათთვის.

კითხვა იბადება, არის თუ არა გნოსტიციზმის ორი მხარე, ნათელი და ბნელი, ემანსიპატორული და ელიტისტური აუცილებლად ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთის განმაპირობებელი? ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან გნოსტიცისზმი არ ითვალისწინებდა იდეოლოგიის მხრიდან ადამიანზე ზემოქმედების იმ მოვლენას, რასაც თანამედროვე ფილოსოფოსი ლუი ალთუსერი უწოდებდა ინტერპელაციას. იდეოლოგიის ზეგავლენა აყალიბებს ადამიანის იდენტობას და ცნობიერებას ისე, რომ ინდივიდი არ ფიქრობს, თითქოს მას სჭირდება ძალადობრივი იდეოლიოგიისგან გათავისუფლება, არამედ ის უკვე არის ყოველგვარი ძალაუფლების სისტემისგან თავისუფალი. შედეგად ის აღიქვამს საკუთარ თავს „(თავისუფალ) სუბიექტად, რათა ნებაყოფლობითად დაემორჩილოს ბრძანებებს, ანუ რათა მან (თავისუფლად) მიიღოს მორჩილება, და გაითავისოს მორჩილების გამომხატველი ყველა მისი ჟესტი და მოქმედება“.[14] ასეთ პირობებში ადამიანის ცხოვრება ემსგავსება ფილმ „მატრიცის“ რიგით მაცხოვრებლებს, რომლებიც იბადებიან და მთელ ცხოვრებას ატარებენ კომპიუტერის მიერ სიმულირებულ „თავისუფალ“ რეალობაში ისე, რომ ეჭვიც არ ებადებათ საკუთარი აბსოლუტურად დამონებული მდგომარეობის შესახებ და შესაბამისად ამბოხის სურვილიც არ უჩნდებათ. ყველაზე ეფექტურად მოქმედი იდეოლოგია არის ის, რომელიც ადამიანს არწმუნებს მის არაარსებობაში, და სწორედ ამით ახერხებს, რომ იქცეს ადამიანის სისხლად და ხორცად, მის იდენტობად. ასეთი სისტემისგან გათავისუფლება ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც საკუთარი სისხლისა და ხორცის უარყოფა, თვით საკუთარი მეობის მკვლელობა. ადამიანმა, რომელმაც მთელი ცხოვრება ციხეში გაატარა, არ იცის თავისუფლების გემო და ციხეს აღიქვამს საკუთარ სახლად. ასეთი ადამიანი ციხიდან გათავისუფლებას განიცდის როგორც სახლიდან გაგდებას და სახლის დაკარგვას.

ახლა წარმოვიდგინოთ ახლო აღმოსავლეთი ქრისტეს შობამდე პირველ ათასწლეულში, როდესაც ომი და ძალადობა ყოველდღიური ცხოვრების წესად იყო ქცეული და თვითგადარჩენისთვის აუცილებელი საშუალება. როგორ აღიქვამდა იმდროინდელი ადამიანი, თუკი რომელიმე რელიგია მას მოსთხოვდა მტრის შეყვარებას? სწორედ ამ რელიგიის ღმერთი ჩაითვლებოდა ბოროტ ღმერთად. ეს კარგად ესმოდა ადრეულ ეკლესიას. ამიტომ, მისთვის ძველი აღთქმის სასტიკი იაჰვე სხვა არაფერი იყო თუ არა ძალადობრივ სისტემაში დამონებული ადამიანის ენაზე მოსაუბრე სიყვარულის ღმერთი. გნოსტიკური დუალიზმის საპირისპიროდ ის ირჩევდა პედაგოგიურ მიდგომას: ადამიანს უნდა ესაუბრო თავისუფლების შესახებ მისი გაგების დონეზე და მის ენაზე, რათა შემდეგ

[13] *დიდი სეთის მეორე ტრაქტატი* 55.1-56.19. J. M. Robinson (ed.), *The Coptic Gnostic Library: A Complete Edition of the Nag Hammadi Codices, Vol. IV* (Leiden: Brill, 2000), pp. 163-167.

[14] Louis Althusser, *On the Reproduction of Capitalism: Ideology and Ideological State Appratuses*, trans. by G. M. Gorshgarian (London, New York: Verso, 2014), 244.

უფრო მეტი გააგებინო, სხვა შემთხვევაში თავისუფლება წარმოდგენილი იქნება მონობის სარკისებრი ანარეკლის სახით და ამდენად როგორც სტრუქტურულად მასზე დამოკიდებული. საჭიროა, იდეოლოგიის პირობებში ჩამოყალიბებული ადამიანის რწმენის არა უბრალოდ უარყოფა და უკუგდება, არამედ მისი შინაგანი გარდაქმნა, ისე ორმ საბოლოო ჯამში ის განიწმინდოს ძალადობრივი შინაარსისგან და შეიძინოს ახალი სიყვარულის მატარებელი შინაარსით - ძველი ტიკებით ახლით ჩანაცვლდეს (იხ. მათ. 9:17). არ შეიძლება ადამიანს უთხრა: „რასაც შენ ფიქრობ და რაც შენ ხარ, ყველაფერი სიცრუეა. ახლა კი მომისმინე, მე გეტყვი, ვინ ხარ შენ და როგორ უნდა აზროვნებდე.“ რაც არ უნდა კეთილშობილურ მიზანს ისახავდეს ასეთი მოწოდება, ის თვითონ არის ძალადობრივი ანუ იდეოლოგიური ფორმის მქონე და ადრე თუ გვიან შესაბამის ნაყოფს გამოიღებს. ამიტომ, ის ადრეული ეკლესიის ღვთისმეტყველები, რომლებიც გონისტიციზმს დაუპირისპირდნენ, მათი ცოდნისეული ელიტიზმის საპირისპიროდ ყურადღებას ამახვილებდნენ რწმენისეულ ეგალიტარიზმზე.

სწორედ ამ სახის უნივერსალისტური ხასიათის არგუმენტს იყენებს მესამე საუკუნის დიდი ქრისტიანი მოაზროვნე ორიგენე ალექსანდრიელი:

„ჩვენ ვამბობთ, ეს არის მათი (ქრისტიანების - ზ.ჯ) ამოცანა, რომლებიც ასწავლიან ჭეშმარიტ მოძღვრებას, რომ დაეხმარონ რაც შეიძლება მეტ ადამიანს, რამდენადაც მათ ამის ძალა შესწევთ, გადაიყვანონ ჭეშმარიტების მხარეზე ადამიანთა მოდგმისადმი მათი სიყვარულით – არა მხოლოდ გონიერნი არამედ ასევე სულელნი, და არა-მხოლოდ ბერძნები, არამედ, ასევე, ბარბაროსები. ეს არის მშვენიერი რამ, თუ ვინმეს შეუძლია მოაქციოს თვით ყველაზე სულელი და გაუნათლებელი მდაბიო. ამიტომ, ცხადია, ასეთი მასწავლებლები იღვწიან, მათი საუბრისას ისეთი სიტყვების მარაგის გამოყენებისთვის, რომელიც ყველას დაეხმარება და გააგებინებს. მეორე მხრივ, ყველა ის, ვინც მიატოვა გაუნათლებელი მდაბიოები, რომლებსაც არ შესწევს უნარი, დააფასონ ლიტერატურული სტილის დახვეწილობა და მოწესრიგებული აღწერა და ვინც ყურადღებას აქცევს მხოლოდ განათლებულსა და ნასწავლს, ასეთი ადამიანი ზღუდავს საზოგადოებისათვის სასარგებლოს ძალიან ვიწრო და შემოსაზღვრული წრით“.[15]

ამრიგად, ქრისტიანული რწმენა მიზნად ისახავს მთელი კაცობრიობის საყოველთაო მოქცევასა და თითოეული ადამიანის ზიარებას უზენაეს ჭეშმარიტებასთან ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური კლასისა და შესაბამისი განათლების დონისა თუ ინტელექტუალური უნარებისგან დამოუკიდებლად. ამიტომ, „მოქცევისა და ეკლესიაში შესვლის შემდეგ ყოველ პიროვნებას შეუძლია მისი უნარის მიხედვით ამაღლდეს დაბალი სტილით დაწერილ სიტყვებში დაფარულ ჭეშმარიტებამდე“.[16]

ეს ამაღლება დაბალი სტილიდან მაღალზე ორიგენეს მასწავლებელს, წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელს წარმოუდგენია როგორც პედაგოგიური ამაღლება რწმენიდან ცოდნისკენ: „როგორც ზემოთ ავხსენე, ვფიქრობ, პირველი სახის გამომხსნელი ცვლილება ხდება წარმართობიდან რწმენის მიმართულებით, მეორე - რწმენიდან ცოდნისკენ; და ეს უკანასკნელი გადადის სიყვარულში და მყარდება მეგობრული

[15] *კელსუსის წინააღმდეგ* 6.1.
[16] *იქვე,* 8.17.

ურთიერთობა მცოდნესა და ცოდნის საგანს (იგულისხმება ღმერთი, შდრ. იოან. 15:15 - ზ.ჯ.) შორის.“[17]

მოგვიანებით, მეოთხე საუკუნეში წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამ სახის სულიერი პედაგოგიკას უპირისპირებს ადამიანის ჭეშმარიტებისკენ ნახოტმისებრად მყისიერი განვითარების მოთხოვნას როგორც ტირანული ხასიათის მოთხოვნას. კლიმენტის მსგავსად მისთვისაც გადასვლა წარმართობიდან ძველი აღთქმის მონოთეიზმზე და შემდეგ ახალი აღთქმის გამოცხადებაზე - „კერპებიდან, მოსეს რჯულზე და რჯულიდან სახარებაზე“ - არის ადამიანზე ღმერთის აღმზრდელობითი მზრუნველობის გამოვლინება:

„ეს ორი აღთქმა არის იმისათვის, რომ ცვლილება არ ყოფილიყო მყისიერი და არც პირველივე მცდელობისას. რატომ არა? რათა ძალადობა არ გამოეჩინა ჩვენს მიმართ, არამედ დავერწმუნებინეთ. რადგან რაც იძულებითია, დიდხანს არ გასტანს, მსგავსად წყლის ნაკადის ან ხის ტოტებისა, რომლებიც ძალდატანებით იქნა შეკავებული. მაგრამ ის, რაც ნებაყოფლობითია, არის მტკიცე და უსაფრთხო. პირველი ახასიათებს მას, ვინც ძალას იყენებს, მეორე კი ჩვენეულია; პირველი ახასიათებს ტირანულ ძალაუფლებას, მეორე კი ღმერთის სიკეთეს. ამიტომ, ღმერთმა არ მიიჩნია მისთვის შესაფერისად სიკეთე მოეტანა მათთვის, ვისაც ეს არ სურდა, არამედ მათთვის, ვისაც სურდა. ამიტომ, როგორც მასწავლებელი და მკურნალი, ის ნაწილობრივ გვათავისუფლებს წინაპართა ადათ-წესებისგან და ნაწილობრივ გვიტოვებს მათ, უთმობს რა ჩვენს სწრაფვას სიამოვნებისკენ, როგორც ექიმები ექცევიან მათ პაციენტებს, მათი მკურნალობა მისაღები რომ იყოს, მარჯვედ შეუზავებენ წამალს იმას, რაც სასიამოვნოა. რადგან ადვილი არ არის იმ ჩვეულებებისგან თავის დაღწევა, რასაც ადათმა და ხანგრძლივმა გამოყენებამ მოუპოვა პატივისცემა.“[18]

აქ ვხედავთ, თუ როგორ ესმოდათ ადრეულ ქრისტიანობაში ამა თუ იმ კულტურის გახსნა მისი მიღმიერის ანუ ტრანსცენდენტის მიმართ. სწორედ ეს გახსნილი კულტურა ანუ ღია ადამიანური რწმენა-წარმოდგენები არის რწმენა ამ სიტყვის ბიბლიური გაგებით. ქრისტიანობის მიზანი არ არ ის, რომ ერთი შეხედულება უნდა ჩანაცვლდეს მეორეთი, უფრო მართებულით და ზუსტით, რომელიც იქნება გამოცხადებული როგორც საბოლოო ჭეშმარიტება, არამედ ჭეშმარიტება თვითონ გახსნაში და ღიაობაში ანუ გზაში არის წვდომადი. ამ მიდგომით შეგვიძლია გავიგოთ სიტყვების მნიშვნელობა: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება“ (იოან. 14:6). თვითონ ბიბლიის ტექსტი არის ადგილობრივი კულტურის ტრანსცენდენტური და ამავე დროს უნივერსალური ადამიანურის მიმართ ამგვარი გახსნის პირველნიმუში. მის გვერდებზე ჩვენ ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა კულტურებისა და მითოლოგიების გამოძახილებს, რომელთა შუქზე ბიბლური ღმერთი - იაჰვე - წარმოჩნდება ისეთი ატრიბუტების მატარებელი, რომელიც ახასიათებდა იქაური კულტის ღვთაებებს. ამგვარ აღმოჩენას ზოგიერთი ბიბლეისტი მიყავს იმ დასკვნამდე, რომ იაჰვე წარმოიშვა ქანაანელთა ეთნოსის ერთი-ერთი ღვთაებიდან, რომელმაც დროთა განმავლობაში იცვალა სახე ისრაელის ერის წარმოდგენებში. მაგრამ ბიბლიური რწმენის თვალსაზრისით იაჰვეს ჭეშმარიტი სახე

[17] *სტრომატები* 7.10.
[18] *სიტყვა* 31.25.

არათუ ამ ცვლილებათა ისტორიის სათავეში უნდა ვეძებოთ, არამედ თვითონ ამ ცვლილებების დინამიკაში. ამ დინამიკას ყველაზე კარგად წარმოგვიჩენს ადამიანის გამოხსნის ადრექრისტიანული ფორმულა: „ღმერთი განსხეულდა, რათა ადამიანი განაღმრთოს“.[19] იესო ქრისტე სახით ღმერთი შემოდის ბოროტების ძალაუფლებას დამონებული ადამიანის ყოფაში თავადაც მონის სახით, როგორც ერთ-ერთი ჩვენი თანამონა, რათა ჩვენი ყოფის გაზიარებით გამოგვიხსნას ამ მონობისგან.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ რწმენის ქრისტიანული გაგება არათუ მხოლოდ შინაარსობრივად არის იდეოლოგიასთან რადიკალურად დაპირისპირებული, არამედ ის ასევე გვთავაზობს მისი დაძლევის ყველაზე ეფექტურ გზას. ეს გზა გულისხმობს არა უბრალოდ იდეოლოგიის ალტერნატივის შემოთავაზებას, არამედ თვითონ იდეოლოგიის მიერ ფორმირებული ადამიანის იდენტობის შიგნიდან გარდაქმნას. ქრისტიანობა ადამიანს იღებს ისეთად როგორიც არის, რითაც მას უცხადებს ღმერთის უპირობო სიყვარულს: ყოველი ქმნილება ღმერთის სიყვარულით არის შექმნილი და ღმერთის გრძნობები კი არასოდეს იცვლება, ისინი მარადიულია როგორც მისი არსი არის მარადიული. ამგვარი სიყვარულის რწმენის თვალებით ხილვა - ადამიანების გამო ჯვარცმული ღმერთის ხილვა - ბუნებრივად და ძალდაუტანებლად აღძრავს საპასუხო სიყვარულს ადამიანის მხრიდან, თუნდაც მისი მეტად შეზღუდული არათანაფარდი ხარისხით. სწორედ ეს საპასუხო სიყვარული ბადებს ახალ ადამიანს - ადამიანს თავისუფალს ყოველგვარი იდეოლოგიისადმი მონობისგან, ადამიანს როგორც ღვთის მეგობარს და მადლით მის თანასწორს.

[19] *ღვთის სიტყვის განსხეულების შესახებ* 54.3.